სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გვანჯი მანიას სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) პროფესორ გვანჯი მანიას სახელობის სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ერთ სტუდენტებს.
2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკისადმი სტუდენტთა დაინტერესების გაზრდა.
3. სტიპენდია ინიშნება ა(ა)იპ - საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის ინიციატივით.
4. სემესტრის განმავლობაში ინიშნება ერთი სტიპენდია.
5. სემესტრული სტიპენდია შეადგენს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს (საშემოსავლოს ჩათვლით).

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს ავლენენ ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის შესწავლის მიმართ. მაღალი აკადემიური მოსწრება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა სტიპენდიის გაცემისათვის.
2. კომისიის მიერ გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით ვლინდება სტიპენდიანტი, რომელიც უნდა იყოს სანიმუშო ყოფაქცევის, ავტორიტეტული, მიზანსწრაფული და მოტივირებული სტუდენტი.
3. სტიპენდია ენიჭება საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.
4. სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია 1 სემესტრის ვადით. სტიპენდიანტებს მიეცემათ უფლება ხელახლა წარადგინონ საბუთები ახალი ვადით სტიპენდიის მიღებაზე.
5. სტიპენდია არ გაიცემა:
ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;
გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;
დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუს შეჩერებულ სტუდენტზე;
ე) დასაფინანსებელ სემესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაცემული თანხის სხვა (რეიტინგით მომდევნო) სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე;
ვ) თუ ვერ მოიძებნა კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა;
ზ) იმავე სემესტრში სხვა სახელობითი სტიპენდიის მქონე სტუდენტზე;
თ) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტზე.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია, რომელიც იქმნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით.
2. სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა უნდა შედგეს საქართველოს სტატისტიკურ ასოციაციასთან შეთანხმებით.
3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება სარეიტინგო ქულების საშუალებით.
4. სარეიტინგო ქულის მაქსიმალური მნიშვნელობა არის 100 და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
ა) აკადემიური მოსწრება, რომელიც წარმოადგენს წინა კალენდარულ სემესტრში მათემატიკის სავალდებულო საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის ნახევრს (მაქსიმალური ქულა - 50).
ბ) ტესტირება ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებზე (მაქსიმალური ქულა - 25).
გ) რეფერატული ან კვლევითი ხასიათის მოხსენება/პრეზენტაცია ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში (მაქსიმალური ქულა - 20). აფასებს კომისია.
დ) საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის წევრი პროფესორის რეკომენდაცია - მაქსიმალური ქულა - 5.
5. სტიპენდია ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც ექნება სხვა კანდიდატებზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 60 სარეიტინგო ქულა. ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო სარეიტინგო ქულის მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში ამ

კანდიდატებთან ჩატარდება გასაუბრება და კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი პრიორიტეტული კრიტერიუმების მიხედვით:
ა) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულების საშუალო ქულა;
ბ) ტესტირების ქულა;
გ) პრეზენტაციის ქულა;
დ) გასაუბრების დროს კითხვებზე უკეთესი პასუხები.
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.
7. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.
8. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

9. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება ა(ა)იპ - საქართველოს სტატისტიკური ასოციაციიდან უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

მუხლი 4. სტიპენდიის მოპოვების მსურველმა ბაკალავრიატის სტუდენტმა კომისიის სახელზე წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება კომისიის სახელზე.
ბ) ავტობიოგრაფია (CV).
გ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი.
დ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ე) პროფესორის სარეკომენდაციო წერილი.